06.07.2026

სკოლის გაზეთი

ევროპული სკოლა

ერთად, როგორც მომავლის განათლების არქიტექტორები

განათლების ძალა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაშია. იდეების გაცვლით, ერთმანეთისგან სწავლითა და თანამშრომლობით იწყება ცვლილებები, რომლებიც ერთი სკოლისა თუ ერთი საკლასო ოთახის ფარგლებს სცდება. სწორედ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება იყო კავკასიისა **და** ცენტრალური აზიის IB მსოფლიო სკოლების ასოციაციის (CCAAIBWS) ფარგლებში, „ევროპული სკოლის“ მასპინძლობით ჩატარებული „ინოვაციური სწავლების მეხუთე საერთაშორისო კონფერენციის“ (5ExLC) მთავარი მიზანი.

კონფერენციამ განათლების სფეროს ლიდერები, პედაგოგები და ინოვატორები გააერთიანა გამოცდილების, ახალი იდეების გასაზიარებლად და მომავლის განათლებაზე ერთობლივად დასაფიქრებლად.

5ExLC კონფერენცია დაიწყო მანგლისში, ლიდერობის აკადემია “საბადოში“ გამართული „იმედის ფესტივალით“, რომელსაც 100-მდე მოსწავლე, მომავლის ლიდერი დაესწრო. ფესტივალის მთავარი გზავნილი იყო, რომ განათლება მხოლოდ ცოდნის მიღება არ არის, ის ახალგაზრდების **გაძლიერებაა,** რათა მათ შეძლონ ინიციატივის გამოჩენა და უკეთესი მომავლის შექმნაში საკუთარი წვლილის შეტანა.

1 მაისს სასტუმრო „პულმანში“ჩატარდა გახსნის ცერემონია, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული 560 დელეგატი დაესწრო. მომდევნო ორი დღის მანძილზე კი მონაწილეები ჩაერთნენ 100-ზე მეტ სესიასა და სამუშაო შეხვედრაში, სადაც განიხილეს თანამედროვე განათლების **გამოწვევები,** ინოვაციური მიდგომები და მოსწავლეების მომავლისთვის მომზადების გზები.

როგორც ჩემს მისასალმებელ სიტყვაში აღვნიშნე, ჩვენ, განათლების სფეროს წარმომადგენლები, ვართ მომავლის განათლების არქიტექტორები. ჩვენი პასუხისმგებლობა მხოლოდ ცოდნის გადაცემით არ შემოიფარგლება, ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც იზრდებიან მოაზროვნე, პასუხისმგებელიანი, ცვლილებების ინიციატორი ადამიანები.

ასეთი მასშტაბის საერთაშორისო კონფერენციის მასპინძლობა „ევროპული სკოლისთვის“ იყო დიდი პატივი და ამავდროულად მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა. ეს ჩვენი 19-წლიანი განვითარების გზის ბუნებრივი გაგრძელებაა, გზის, რომელმაც „ევროპული სკოლა“ აქცია **განათლების** ლიდერად საქართველოში და რეგიონში.

დღეს „ევროპული სკოლა“ არის ინოვაციების სივრცე, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიები, შემოქმედებითი მიდგომები და სწავლების მეთოდები მოსწავლეების განვითარებას ემსახურება. როგორც CIS-ის ექსპერტებმა აღნიშნეს, „ევროპული სკოლა“ არის ინოვაციების ჰაბი. ჩვენ ვამაყობთ, რომ **ვართ** საერთაშორსიო სკოლების საბჭოს(CIS) მიერ აკრედიტებული და IB უწყვეტი განათლების ერთადერთი სკოლა საქართველოში, რომელიც ოთხივე საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამას ახორციელებს: PYP, MYP, DP და CP.

კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება იყო საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო საზოგადოების დაკავშირება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვიყოთ ხიდი საქართველოსა და გლობალურ სამყაროს შორის.

ამავე დროს, ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების ღირსეული ელჩები ვყოფილიყავით. მოსწავლეთა ქორეოგრაფიული ნომრებით, ვორქშოფებით, ქართული სამზარეულოთი და სტუმართმოყვარეობით სტუმრებს გავუზიარეთ არა მხოლოდ ჩვენი საგანმანათლებლო მიღწევები, არამედ საქართველოს უნიკალური იდენტობა.

ინოვაციური განათლების კონფერენცია იყო თანამშრომლობის, ინოვაციისა და საერთო ხედვის ზეიმი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ერთად შეგვიძლია შევქმნათ უკეთესი განათლება და უკეთესი მსოფლიო.

სოფიო ბაზაძე
ევროპული სკოლის გენერალური დირექტორი

„ევროპული სკოლა“ 2025–2026 სასწავლო წლის COMMON SENSE სამაგალითო სკოლა გახდა

ციფრული განათლების მიმართულებით „ევროპულმა სკოლამ“ კიდევ ერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია: სკოლას ოფიციალურად მიენიჭა Common Sense სამაგალითო სკოლის სტატუსი 2025–2026 სასწავლო წლისთვის და შეუერთდა სკოლების გლობალურ ქსელს, რომლებიც **გამოირჩევიან** ციფრული მოქალაქეობის კუთხით შემუშავებული განსაკუთრებული მიდგომებით.

ეს აღიარება ენიჭებათ სკოლებს, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარებიან, განივითარონ საჭირო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რათა ციფრულ სამყაროში უსაფრთხოდ, პასუხისმგებლიანად და ეთიკურად იმოქმედონ. „ევროპული სკოლისთვის“ ეს მიღწევა ასახავს მრავალწლიანი მუშაობის **შედეგს** ციფრული წიგნიერების, ონლაინ უსაფრთხოების, მედიაწიგნიერების, ტექნოლოგიების დაბალანსებული გამოყენებისა და პასუხისმგებლიანი ციფრული ქცევის მიმართულებით.

ამ აღიარების მოსაპოვებლად ნაბიჯები გადაიდგა „ევროპული სკოლის“ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მასწავლებლისა და Common Sense-ის ელჩის, ანი ბეჟუაშვილის ინიციატივით. მან დაინახა შესაძლებლობა, რომ სკოლის მიერ ციფრული მოქალაქეობის მიმართულებით დახარჯული ძალისხმევა კიდევ უფრო გაძლიერებულიყო და საერთაშორისო დონეზე წარმოჩენილიყო. კოლეგების მხარდაჭერით შეიქმნა მოხალისეთა გუნდი, რომელმაც წარმატებით წარმართა განაცხადის მომზადების პროცესი.

მოხალისეთა გუნდმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ წარმატებაში. გუნდის წევრებმა შეაგროვეს საჭირო მასალები, აღწერეს საუკეთესო პრაქტიკები, კოორდინაცია გაუწიეს სხვადასხვა აქტივობას და წარმოაჩინეს სკოლის მიდგომები ციფრული მოქალაქეობის კუთხით.

წლების განმავლობაში სკოლაში განხორციელდა არაერთი ინიციატივა,

მათ შორის ციფრული მოქალაქეობის კვირეული, მოსწავლეების მიერ ინიცირებული ცნობიერების ამაღლების კამპანიები, საკლასო პროექტები, ასამბლეები, მშობლებთან შეხვედრები და მასწავლებლების პროფესიული განვითარების აქტივობები. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო ისეთი კულტურის ჩამოყალიბებას, სადაც ციფრული მოქალაქეობა სწავლებისა და სწავლის განუყოფელი ნაწილია.

Common Sense სამაგალითო სკოლის სტატუსი ერთდროულად არის მიღწევების აღიარებაც და სამომავლო განვითარებისკენ მიმართული ვალდებულებაც. ის ასახავს „ევროპული სკოლის“ მისიას, მოამზადოს მოსწავლეები არა მხოლოდ აკადემიური წარმატებისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ ისინი გახდნენ პასუხისმგებლიანი, ეთიკური და თავდაჯერებული ციფრული მოქალაქეები, რომლებიც მზად იქნებიან თანამედროვე სამყაროში წარმატების მისაღწევად.

ანი ბეჟუაშვილი
PYP მასწავლებელი

„ევროპული სკოლიდან“ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებისკენ

ყველა დიდი გზა იწყება სწორი გეზით, მიმართულებით. „ევროპული სკოლის“ კურსდამთავრებულებისთვის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებისკენ მიმავალ გზას საფუძვლად უდევს ხარისხიანი განათლება, საერთაშორისო გამოცდილება, მიზნობრივი მხარდაჭერა და საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენის პროცესი.

2026 წლის კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო წარმატებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ევროპული სკოლის“ ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამა: საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) პროგრამები, ამერიკული უმაღლესი სკოლა (ASAS) თუ ქართული პროგრამა, ქმნის მყარ საფუძველს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად.

ჩვენი მოსწავლეებისთვის უნივერსიტეტში მიღება არ არის მხოლოდ განაცხადის გაგზავნის პროცესი, ეს არის კარგად დაგეგმილი გზა, სადაც მათ გვერდით დგას „ევროპული სკოლის“ საუნივერსიტეტო ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახურის გუნდი. პროფესიონალი მრჩევლების მხარდაჭერით მოსწავლეები სწავლობენ საკუთარი ინტერესების განსაზღვრას, სწორი არჩევანის გაკეთებას და საკუთარი უნიკალური შესაძლებლობების წარმოჩენას გლობალურ ასპარეზზე.

2026 წლის შედეგები ამ წარმატებული მიდგომის კიდევ ერთი დასტურია. უკვე მეექვსედ, 2020 წლიდან დღემდე, „ევროპული სკოლა“ საქართველოს კერძო სკოლებს შორის ლიდერია აივი ლიგის უნივერსიტეტებში ჩარიცხვების რაოდენობით.

წლევანდელ მიღებებში განსაკუთრებულად აღსანიშნავია Brown University-ში 2 ჩარიცხვა, ასევე მიღებები ისეთ უნივერსიტეტებში, როგორებიცაა:

- Georgetown University
- Duke University
- University of California, Berkeley
- London School of Economics (LSE)
- University College London (UCL)
- Bocconi University

და მსოფლიოს სხვა წამყვანი უნივერსიტეტები.

2026 წლის გამოშვების წარმატება განსაკუთრებით გამორჩეულია თავისი მასშტაბითა და გეოგრაფიული მრავალფეროვნებით. ევროპული სკოლის კურსდამთავრებულების უნივერსიტეტების რუკა კიდევ უფრო გაფართოვდა და აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ევროპის ტრადიციულ მიმართულებებს დაემატა სინგაპური, სამხრეთ კორეა და ჰონგ-კონგი.

წლევანდელი საუნივერსიტეტო აპლიკაციების ფარგლებში გაიგზავნა 728 განაცხადი 126 მოსწავლის სახელით 30 ქვეყანაში, და თითოეულმა კურსდამთავრებულმა მიიღო მიღების შეთავაზება.

განსაკუთრებული იყო ფინანსური მხარდაჭერის შედეგებიც: „ევროპული სკოლის“ მე-12 კლასის მოსწავლეებმა მიიღეს 2 437 571 აშშ დოლარის ოდენობის წლიური საუნივერსიტეტო დაფინანსება, რაც ოთხი წლის განმავლობაში ჯამურად შეადგენს 9 750 284 აშშ დოლარს.

თუმცა, ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა მხოლოდ უნივერსიტეტების სიით არ იზომება. ჩვენი მიზანია, თითოეულმა მოსწავლემ იპოვოს საკუთარი გზა, იქნება ეს მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტი, კონკრეტული პროფესიული მიმართულება თუ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების გზა.

ამ ხედვის ფარგლებში, 2026 წლის 27 მარტს, „ევროპულმა სკოლამ“, პირველად უმასპინძლა ევროპული უნივერსიტეტების გამოფენას. ღონისძიებას ჩვენი სკოლის 215-ზე მეტი მოსწავლე და მათი მშობლები დაესწრნენ.

ეს წარმატებული ინიციატივა წარმოადგენს თბილისის საერთაშორისო სკოლებსა და საზღვარგარეთ არსებულ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის ახალ ფორმატს. ამ პროექტს საფუძველი ჩაუყარა „ევროპული სკოლის“ საუნივერსიტეტო ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახურისა და "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის" საუნივერსიტეტო პროგრამის ხელმძღვანელების მჭიდრო თანამშრომლობამ.
უნივერსიტეტების მომდევნო გამოფენა 2026 წლის 12 ოქტომბერს გაიმართება “ევროპულ სკოლაში”. ამჯერად უკვე ღონისძება ფართოვდება და ჩატარდება თბილისის 5 საერთაშორისო სკოლის თანაორგანიზებით და მასში მონაწილეობას მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპისა და დიდი ბრიტანეთის 20-ზე მეტი უნივერსიტეტი.

„ევროპული სკოლა“ ქმნის გარემოს, სადაც შესაძლებლობები საზღვრებს არ იცნობს.

აქ განათლება არ არის მხოლოდ შემდეგი ნაბიჯისთვის მომზადება, ეს არის საფუძველი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავდაჯერებით შექმნან საკუთარი მომავალი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

ქეთევან ნაჭყებია
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

მოსწავლეთა ინიციატივები ცვლიან ხედვას

განათლების მიღება მხოლოდ სახელმძღვანელოებით, საკლასო სივრცეში შეძენილი ცოდნითა თუ გამოცდების ჩაბარებით არ შემოიფარგლება. განათლება კიდევ უფრო შინაარსიანი მაშინ ხდება, როდესაც ახალგაზრდები სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან მომდინარე ხმებს უსმენენ, განსხვავებულ გამოცდილებებს ეცნობიან და აცნობიერებენ, რომ მათაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ სხვა ადამიანების ცხოვრებაზე. სწორედ ეს დაამტკიცეს “ევროპული სკოლის” მოსწავლეებმა მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში ორი გამორჩეული ინიციატივით: „ცოცხალი ბიბლიოთეკა“ და „წიგნები

ყველასთვის“. ეს პროექტები აერთიანებდა წიგნიერებას, თანაგრძნობას, კულტურულ ცნობიერებასა და სოციალურ პასუხისმგებლობას. მიუხედავად განსხვავებული ფორმისა და მიზნობრივი მიმართულებისა, ორივე ინიციატივა ერთ საერთო გზავნილს ატარებდა: თითოეულ ადამიანს აქვს ისტორია, რომელიც მოსმენას იმსახურებს, და თითოეულ ისტორიას შეუძლია ადამიანის შეცვლა.

წლის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და ემოციური ინიციატივა იყო პროექტი „ცოცხალი ბიბლიოთეკა“, რომელიც ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეების, ანა მოლოდინისა და საბა ნოდიას ინიციატივითა და ორგანიზებით განხორციელდა საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს კარიტასთან“ თანამშრომლობით. პროექტი შთაგონებული იყო საერთაშორისო მოძრაობა Human Library-ის იდეით, რომლის მთავარი მიზანია ადამიანებს შორის დიალოგის, ემპათიისა და ურთიერთგაგების გაძლიერება, ასაკის, სოციალური მდგომარეობის, ცხოვრებისეული გამოცდილებისა თუ განსხვავებული გარემოს მიუხედავად.

ამ უჩვეულო „ბიბლიოთეკაში“ წიგნები ქაღალდზე დაბეჭდილი ტექსტები კი არა, ადამიანები იყვნენ, ის ადამიანები, რომელთა ცხოვრებაც სავსე იყო გამოწვევებით, ტკივილით, გამძლეობით, გამარჯვებებითა და იმედით. ASAS მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ შეხვედროდნენ „კარიტასის“ ბენეფიციარებს: ხანდაზმულ ადამიანებს, ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებს, მარტოხელა მშობლებსა და სხვა საინტერესო პიროვნებებს, რომელთა ისტორიებიც ხშირად შეუმჩნეველი რჩება ყოველდღიური ცხოვრების ხმაურში.

როგორც პროექტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ანა მოლოდინმა აღნიშნა, ინიციატივის მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის დაენახებინა, რომ მათთვის ნაცნობი, კომფორტული და წარმატებაზე ორიენტირებული გარემოს მიღმა არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად სირთულეებს ებრძვიან და რომელთა გამოცდილებასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ ისტორიებმა მისცა მოსწავლეებს შესაძლებლობა, დაენახათ ადამიანის ღირსება, სიმტკიცე და შინაგანი ძალა იქ, სადაც მანამდე შესაძლოა მხოლოდ სოციალური სტატუსი ან სტერეოტიპი შეემჩნიათ.

პროექტმა ასევე შექმნა მნიშვნელოვანი ხიდი თაობებს შორის. უფროსი ასაკის მონაწილეებს საშუალება მიეცათ ახალგაზრდებისთვის გაეზიარებინათ ცხოვრებისეული გამოცდილება, სიბრძნე და რჩევები, რომელთა მიღებაც სახელმძღვანელოებიდან შეუძლებელია. ეს შეხვედრები იქცა სივრცედ, სადაც ადამიანებს ერთმანეთის მოსმენა, განსხვავებული რეალობების გააზრება და თანაგრძნობის განვითარება შეეძლოთ.

თუ „ცოცხალი ბიბლიოთეკა“ ადამიანების ისტორიების აღმოჩენის შესაძლებლობას ქმნიდა, მეორე მნიშვნელოვანი ინიციატივა, „წიგნები ყველასთვის“, წიგნისა და ლიტერატურის გარდამქმნელ ძალას უსვამდა ხაზს.

პროექტს ხელმძღვანელობდა ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლე ნოდარ ჭელიძე წიგნიერების გამავრცელებელ საზოგადოებასთან და ცნობილ ქართველ მწერალ და საზოგადო მოღვაწე გიორგი კეკელიძესთან თანამშრომლობით. მისი მთავარი მიზანი იყო კითხვის კულტურის პოპულარიზაცია, ქართული ენის მნიშვნელობის წარმოჩენა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ინტერესის გაღრმავება. პროექტი სკოლის კედლებს გასცდა და საზოგადოების სხვადასხვა ფენას შეეხო. ნოდარის განხორციელებული აქტივობები მიზნად ისახავდა არა მხოლოდ წიგნიერების გავრცელებას, არამედ განათლების მნიშვნელობის გაზიარებას. პროექტის ფარგლებში მონაწილეები ესტუმრნენ ტირძნისის **საჯარო** სკოლას, სადაც მოსწავლეებს ესაუბრნენ კითხვისა და განათლების მნიშვნელობაზე და შეგროვებული წიგნები გადასცეს. ეს შეხვედრა იქცა ნათელ მაგალითად იმისა, თუ როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს საკუთარი ძალისხმევით ხელი შეუწყონ საზოგადოების განვითარებას.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 14 მარტს, დედაენის დღეს განხორციელებული ვიზიტი ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელში. მოსწავლეები შეხვდნენ ვარიანის საჯარო სკოლის მოსწავლეებს. ღონისძიება წიგნების გადაცემით დასრულდა, რაც კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს პროექტის მთავარ იდეას: ცოდნის გაზიარება და განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა საზოგადოების განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

„ცოცხალი ბიბლიოთეკა“ და „წიგნები ყველასთვის“ მოსწავლეთა ინიციატივის, ლიდერობისა და სოციალური პასუხისმგებლობის საუკეთესო მაგალითებია. ერთმა პროექტმა ახალგაზრდებს ადამიანების უნიკალური ისტორიების აღმოჩენის შესაძლებლობა მისცა, მეორემ კი შეახსენა, რომ წიგნები, ენა და განათლება არა მხოლოდ ცოდნის წყაროა, არამედ პიროვნული განვითარების, კულტურული თვითშეგნების და საზოგადოების გაძლიერების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები.

ეს ინიციატივები ნათლად აჩვენებს, თუ რამდენის მიღწევა შეუძლიათ ახალგაზრდებს, როდესაც იდეებს მიზანმიმართულ შრომას, პასუხისმგებლობასა და გულწრფელ სურვილს უთავსებენ. მათ არა მხოლოდ გაამდიდრეს “ევროპული სკოლის” ცხოვრება, არამედ ღრმა კვალი დატოვეს ყველა იმ ადამიანის ცნობიერებასა და გულში, ვინც ამ პროცესის ნაწილი გახდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მათ კიდევ ერთხელ შეგვახსენეს: იქნება ეს წიგნი, გულწრფელი დიალოგი თუ მხარდაჭერის უბრალო ჟესტი, ერთმანეთის მოსმენა, გაგება და დახმარება ქმნის უფრო ჰუმანურ, უფრო პასუხისმგებლიან და უფრო მჭიდროდ დაკავშირებულ საზოგადოებას.

ნანა მუქერია

ამერიკული უმაღლესი სკოლის მასწავლებელი

პირველი ნაბიჯები დიპლომატიაში

ზოგჯერ ერთი ჩვეულებრივი მოვლენა სრულიად ახალ შესაძლებლობებს გამოაჩენს. სწორედ ასე დაიწყო „ევროპული სკოლის“ MYP პროგრამის მოსწავლის, ელენე გეთიას წარმატების ისტორია. ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატების“ წარმომადგენლებთან სკოლაში გამართული შეხვედრის შემდეგ ელენემ გადაწყვიტა საკუთარი ძალები MUN კონფერენციაზე გამოეცადა. პირველი ნაბიჯი მალე საერთაშორისო წარმატებად იქცა.

გასული ერთი წლის განმავლობაში ელენემ სამი საერთაშორისო სტიპენდია მოიპოვა. მან მონაწილეობა მიიღო კონფერენციებსა და დიპლომატიურ პროგრამებში საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში, სადაც ღირსეულად წარმოადგინა საქართველო. მისი გზა სტრასბურგიდან ვაშინგტონსა და ნიუ-იორკამდე, ხოლო შემდეგ ტოკიომდე გაგრძელდა. ელენე დაესწრო გაეროს საქმიანობას, შეხვდა საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს **გაეროში** და მოხვდა იაპონიის მთავრობის ოფიციალურ ღონისძიებებზეც.

როგორ მიაღწიე ასეთ მნიშვნელოვან წარმატებას?

ყველაფერი „ევროპულ სკოლაში“ გამართული შეხვედრიდან დაიწყო. მანამდე Model UN-ის შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი, მაგრამ გადავწყვიტე, საკუთარი თავი გამომეცადა. ეს გადაწყვეტილება ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი **აღმოჩნდა.**

რა იყო ყველაზე ემოციური მომენტი?

ყველაზე დიდი ემოცია მაშინ ვიგრძენი, როდესაც გაეროს შტაბ-ბინაში საქართველოს წარმომადგენლებს შევხვდი და მივხვდი, რომ ჩემს ქვეყანას საერთაშორისო გარემოში წარმოვადგენდი. ეს დიდი პასუხისმგებლობაც იყო და უდიდესი სიამაყეც.

რას ეტყოდი იმ მოსწავლეებს, რომლებიც გეგმავენ საკუთარი ძალები მოსინჯონ საერთაშორისო კონფერენციებზე?

არ უნდა შეგეშინდეთ პირველი ნაბიჯის გადადგმის. ხშირად ყველაზე დიდი შესაძლებლობები სწორედ იქ იწყება, სადაც საკუთარი თავის გამოცდას გადაწყვეტ.

ელენეს ისტორია კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ დიდი წარმატებები ხშირად ერთი გაბედული გადაწყვეტილებით იწყება. „ევროპული სკოლა“ ამაყობს თავისი მოსწავლეების მიღწევებით და დარწმუნებულია, რომ ელენეს წინ კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება ელოდება.

ნინო კუსრაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

როცა მიზანი გამარჯვებაა

„ევროპული სკოლის“ მე-11 კლასის მოსწავლე და MMA-ის მოჭიდავე დათო გოცაძე შრომისმოყვარე და მიზანდასახული სპორტსმენია. წლების განმავლობაში მან არაერთ მნიშვნელოვან შეჯიბრზე იასპარეზა და შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია. მის მიღწევებს **შორისაა** ADCC Championship-ის I ადგილი, Grappling Industries-ის I ადგილი, Georgian Grand Prix-ის I ადგილი, ასევე AJP-ის ბრინჯაოს მედალი.

თითოეული ეს გამარჯვება მისი ყოველდღიური შრომის, დისციპლინისა და შეუპოვრობის შედეგია.

სპორტში წარმატება მხოლოდ ნიჭზე არ არის დამოკიდებული, მას ყოველდღიური ვარჯიში, თავდადება და საკუთარი შესაძლებლობების მუდმივი განვითარება სჭირდება. სწორედ ამ გზას მიჰყვება დათოც, რომელიც თითოეულ შეჯიბრს ახალი გამოცდილებისა და **კიდევ** ერთი ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობად მიიჩნევს.

როგორ დაიწყო შენი სპორტული კარიერა?

ბავშვობიდან მაინტერესებდა ჭიდაობა. პირველივე შეჯიბრის შემდეგ მივხვდი, რომ სპორტის ამ სახეობაში სერიოზული შედეგების მიღწევა მინდოდა. მას შემდეგ ყოველდღიურად ვვარჯიშობ და საკუთარ თავზე ვმუშაობ.

რა დგას შენი გამარჯვებების უკან?

უპირველესად – შრომა, დისციპლინა და მუდმივი ვარჯიში. შედეგი მხოლოდ მაშინ მოდის, როდესაც არასდროს წყვეტ განვითარებას და მიზნისკენ სვლას.

გამარჯვების დროს რას გრძნობ?

ეს ძალიან სასიამოვნო შეგრძნებაა. მიხარია, როდესაც ჩემი შრომა ფასდება და განსაკუთრებით ის მახარებს, რომ ჩემს ქვეყანას ვასახელებ.

რას ეტყოდი იმ მოსწავლეებს, რომლებიც სპორტში წარმატებაზე ოცნებობენ?

არასოდეს დანებდეთ! წარმატება ერთ დღეში არ მოდის. თუ მიზანი გაქვთ და ყოველდღიურად შრომობთ, შედეგიც აუცილებლად მოვა.

დათოს ისტორია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თავდადება, შრომა და მიზანდასახულობა წარმატების მთავარი საფუძველია. „ევროპული სკოლა“ ამაყობს თავისი მოსწავლეების მიღწევებით და დარწმუნებულია, რომ დათო მომავალშიც არაერთ მნიშვნელოვან გამარჯვებას მოიპოვებს.

ნინო კუსრაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

როცა ცეკვა სიყვარულის ენად იქცევა

სკოლის დერეფანში ახალგაზრდა მამაკაცი მოაბიჯებს. ხელში უზარმაზარი ხმის გამაძლიერებელი უჭირავს, უკან 8-9 წლის ბიჭების ჯგუფი მოჰყვება ხმაურით, სიცილით, ერთმანეთში გადაძახილით. ყველა ერთდროულად რაღაცას უყვება, ეკითხება, თავისი ამბის გაზიარება **უნდა...** და საოცარია, ის ყველას უსმენს, არავის ტოვებს უპასუხოდ...

დერეფანში გზადაგზა კოლეგებიც აჩერებენ:
„ჩემს კლასში რომელ გაკვეთილზე შემოხვალ?“
„ჩემი რეპეტიციისთვის მოიცლი?“
„მოსწავლეებთან ერთად დარბაზში ერთი სცენა მინდა დავდგათ...“

ის კი თავისი ღიმილიანი თვალებით ყველას თანხმდება, ყველას ჰპირდება დახმარებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ასრულებს კიდეც.

თითქოს მასთან ერთად სკოლის კედლებში პატარა დღესასწაული მოძრაობს ენერგიული, მხიარული, ხმაურიანი.

ეს დავით დარასელიაა, ქართული ცეკვის მასწავლებელი, მასწავლებელი, რომელმაც ცეკვა სკოლის კედლებში სიყვარულის ენად აქცია. ის „ევროპულ სკოლაში“ მუშაობაზე ასეთ კომენტარს აკეთებს:

„აქ სამსახურში არ მოვდივარ. აქ საკუთარ სახლში ვარ, ჩემს ოჯახში და ოჯახის წევრებს ვასწავლი ცეკვას.“

დიდი სცენა „ევროპული სკოლაა“, ადგილი, სადაც უკვე ოთხი წელია ბავშვებს ქართულ ცეკვას, ქართულ სულს აზიარებს.

მის გაკვეთილზე ცეკვა მხოლოდ მოძრაობების გამეორება არ არის. აქ არის ემოცია, ხასიათი, თავდაჯერება. როცა დავითი თავად ცეკვავს, თითქოს მუსიკა მას მიჰყვება, ის კი ჰაერში დანავარდებს და ბავშვებს აჩვენებს, რომ ქართული ცეკვა მხოლოდ ტექნიკა არ არის; ეს არის სული, რომელიც უნდა შეიგრძნო.

ოთხი წლის განმავლობაში დავითმა 500-მდე მოსწავლეს ასწავლა ცეკვა, მაგრამ მისი განსაკუთრებულობა იმაშია, რომ ცეკვის სამყაროში მთელი სკოლა ჩართო. დღეს „ევროპული სკოლის“ სცენაზე გამოდიან არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ მასწავლებლები და მშობლებიც. განსაკუთრებით ემოციურია მშობლებისა და შვილების ერთობლივი ნომრები, მომენტი, როცა ცეკვა უკვე ოჯახურ ისტორიად იქცევა.

როგორც დავითი აღნიშნავს, მისი ყველაზე დიდი წარმატება „ES ორნამენტის“ წლევანდელი სოლო კონცერტია მცხეთის კულტურის სახლის სცენაზე: 16 საკონცერტო ნომერი, დიდი პასუხისმგებლობა, საოცარი გუნდური მუშაობა და კულისებში ის ურთიერთდახმარება, რომელიც პროფესიონალურ გუნდებსაც კი შეიძლება შეშურდეთ.

თუმცა, როცა ვეკითხებით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც თავისი მოსწავლეებისთვის გააკეთა, პასუხი სულ სხვა რამაა: „ჩემი მოსწავლეები შეიძლება მოცეკვავეები არ გახდნენ, მაგრამ მე მათ ვასწავლე ერთმანეთზე ზრუნვა, დახმარება და პატივისცემა. ის, რაც კულისებში ხდება, ჩემთვის ყველაზე ძვირფასია.“

და, ალბათ, სწორედ ეს არის დავით დარასელიას მთავარი ძალა, ის ბავშვებს ასწავლის არა მხოლოდ როგორ იცეკვონ, არამედ როგორ იყვნენ ერთიანი ოჯახის ნაწილი.

ზოგი მასწავლებელი ცოდნას გადასცემს. ზოგი — შთაგონებას. დავით დარასელია კი ორივეს აკეთებს და ამას სცენის მიღმაც, უბრალოდ სკოლის დრეფანში მისი გამოჩენითაც იგრძნობთ.

ქეთევან ნაჭყებია
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

„ევროპული სკოლიდან“ გლობალურ გავლენამდე

ყოველი დილა რუანდის დედაქალაქ კიგალში ელენესთვის ერთი პატარა რიტუალით იწყება: ის იღვიძებს, მოტო-ტაქსით მიდის ქალაქის ერთ-ერთ მყუდრო კაფეში და იქ იწყებს სამუშაო დღეს. ქალაქში, სადაც „ყველამ იცის შენი სახელი“, ელენემ ჰარმონიულად დააკავშირა მნიშვნელოვანი საქმიანობა, ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა და ახალი კულტურის შეცნობა.

დღეს ელენე ცხადაძე რუანდის სოციალური დაცვის საბჭოში (Rwanda Social Security Board — RSSB), რომელიც 14 მილიონზე მეტ ადამიანს ემსახურება, მუშაობს პოლიტიკისა და ცვლილებების მართვის ექსპერტად და მონაწილეობს ამ სახელმწიფო ინსტიტუციის ტრანსფორმაციაში. მისი საქმიანობა მოიცავს შიდა მართვის სისტემების გაუმჯობესებას, პროცესების ანალიზს და ისეთი გადაწყვეტილებების შემუშავებას, რომლებიც საჯარო

სერვისებს უფრო ეფექტიანსა და ადამიანზე ორიენტირებულს გახდის.

ელენეს გზა გლობალური განვითარების სფეროში გაცილებით ადრე დაიწყო „ევროპულ სკოლაში“. იგი 2018 წლის „ევროპული სკოლის“ საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) სადიპლომო პროგრამის კურსდამთავრებულია. ეკონომიკითა და საზოგადოებრივი პოლიტიკით დაინტერესებულმა ჩააბარა ინგლისში, Newcastle University-ში, სადაც პოლიტიკისა და ეკონომიკის მიმართულებით მიიღო ბაკალავრის ხარისხი. შემდეგ სწავლა გააგრძელა ბერლინის Hertie School-სა და ნიუ-იორკის Columbia University School of International and Public Affairs-ში, სადაც საჯარო პოლიტიკისა და საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით ორმაგი სამაგისტრო პროგრამა დაასრულა.

ბოლო რვა წლის განმავლობაში პროფესიულმა საქმიანობამ რამდენიმე ქვეყანა მოატარა, მათ შორის: საქართველო, ზამბია და შემდეგ რუანდა. იგი მუშაობდა USAID-ის პროგრამის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო და საფინანსო კომიტეტში, იყო GIZ-ის ფინანსური მმართველობის პროგრამის მრჩეველი ზამბიაში და დღეს აგრძელებს საქმიანობას რუანდის საჯარო სექტორში.

“ამ გზაზე ყოველთვის ინტუიციას მივყვებოდი და გახსნილი ვიყავი შესაძლებლობებისთვის, რომლებიც ახალ გამოცდილებასა და გამოწვევებს მთავაზობდა. გადაწყვეტილებები, რამაც ჩემი პროფესიული გზა განსაზღვრა, ძალიან პირადი იყო: საბოლოოდ, ჩემი კარიერა ემსახურება იმ ცხოვრებას, რომლის ცხოვრებაც მსურს და არა პირიქით“, — ამბობს ელენე.

აფრიკაში საქმიანობამ მას მისცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებაში. ზამბიაში ის მუშაობდა ქვეყნისთვის გარდამტეხ პერიოდში, როდესაც სახელმწიფო ვალის დეფოლტის პირობებში ეკონომიკური რეფორმები და საჯარო ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესება მიმდინარეობდა. რუანდაში კი დღეს მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტების გარდასახვაში მონაწილეობს.

ელენეს საქმიანობა მხოლოდ საჯარო სექტორით არ შემოიფარგლება. ის ასევე არის Advancing Girls' Education in Africa-ის დირექტორთა საბჭოს წევრი, ორგანიზაციის, რომელიც მალავიში გოგონებს განათლების მიღებასა და პროფესიულ განვითარებაში ეხმარება.

ელენესთვის ამ საქმიანობის მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათელი გახდა მაშინ, როდესაც გაიგო, რომ მალავის პირველი ქალი სტომატოლოგი სწორედ ამ პროგრამის კურსდამთავრებული იყო.

„ერთი ადამიანის ისტორიას შეუძლია დიდი ცვლილების ტალღა დაიწყოს და იმის წარმოდგენა შეცვალოს მთელ ქვეყანაში, თუ რა არის გოგონებისთვის შესაძლებელი.დიდი პატივია, ვიყო ამ მნიშვნელოვანი მისიის პატარა ნაწილი“, — აღნიშნავს ელენე.

ელენეს აზრით, მომავლის ლიდერებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნისკენ სწრაფვაა: „მნიშვნელოვანია გქონდეს პასუხისმგებლობის განცდა იმ საზრისის მიმართ, რომელსაც ემსახურები, გქონდეს სურვილი, შეიცნო სამყარო, რომლის შეცვლასაც ცდილობ, უფრო მეტად მოუსმინო, ვიდრე ილაპარაკო და უფრო მეტად დააკვირდე, ვიდრე გამოხატო.“

განსაკუთრებით შთამაგონებელია მისი გზავნილი „ევროპული სკოლის“ მოსწავლეების მისამართით: „თქვენ მომავალ გზაზე საუკეთესო გზამკვლევი საკუთარი ინტუიცია იქნება, ის იმ საზრისის გზაზე გატარებთ, რომელსაც გულწრფელად ემსახურებით. თუ ჯერ ვერ ხედავთ ამ საზრისს, ეძებეთ ის საკუთარ თავში. თუ იცით „რისთვის“ აკეთებთ იმას, რასაც აკეთებთ, მაშინ აკადემიურ, პროფესიულ თუ ცხოვრების გზაზე „როგორ“ გასაგები და შესაძლებელი გახდება. დარწმუნდით, რომ თქვენი მიზანი საკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ თქვენს გზას მყარი საფუძველი მისცეს და არ დაგავიწყდეთ, ისიამოვნოთ ამ სავალი გზითაც.“

ელენესთვის წარმატება მიღწევებითა და პოზიციებითა არ იზომება: „წარმატება არის განცდა იმისა, რომ ჩემი წვლილი, თუნდაც ძალიან მცირე, შევიტანო ადამიანების ცხოვრებათა სირთულის შემცირებაში“.

ელენე ცხადაძის თავგადასავალი სკოლის მოსწავლეობიდან გლობალური განვითარების სფეროს პროფესიონალობამდე კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ საზრისმა, ცნობისმოყვარეობამ და გამბედაობამ ცხოვრების გზას შეიძლება გლობალური მნიშვნელობა შესძინოს.

ქეთევან ნაჭყებია
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი